CM 11 Plus



წებო კერამიკული , კერამოგრანიტული ფილისთვის შიდა და გარე სამუშაოების დროს

თვისებები

- წყალმედეგი
- ყინვაგამძლე
- მდგრადია ფილების დაცურების მიმართ
- თავსებადია ჰიდროიზოლაციასთან Ceresit CR 65
- ეკოლოგიურად უსაფრთხოა

გამოყენების არეალი

მისი დანიშნულებაა კერამიკული და ქვის ფილების დამაგრება (გარდა მარმარილოს ფილებისა წყლის შთანთქმით არანაკლებ 3%-ისა და ზომით 45x45 სმ-მდე მინერალურ არადეფორმირებად საფუძვლებზე კედლებსა და იატაკებზე, შენობების შიგნით და გარეთ. გამოსადეგია დატენიანებული შენობებისა და მცირე ზომის დახურული საცურაო აუზების (ფიალების გარდა) მოსაპირკეთებლად, ასევე კერამოგრანიტის ფილების დასამაგრებლად იატაკებზე შეთბობის გარეშე შენობების შიგნით (საცხოვრებელ და ადმინისტრაციულ შენობებში).

საფუძვლის მომზადება

საფუძვლის მომზადება და მომდევნო მშენებლობაში მოქმედი ტექნიკური ნორმატიული აქტების შესაბამისად. საფუძველი უნდა გასუფთავდეს, წებოს მოსაპირკეთებელი სამუშაოები უნდა შესრულდეს ადგეზიის დამაქვეითებელი ნივთიერებისაგან (მტვრის, გამონალექების, ცხიმების, ბიტუმის და მსგ.). ზედაპირის არამტკიცე, მტვრევადი უბნები და ანაშრევები უნდა მოცილდეს. კედლების მოსასწორებლად რეკომენდებულია სარემონტო ბათქაშის Ceresit CT 29-ის გამოყენება (არანაკლებ სამი დღე-ღამით ადრე), ხოლო იატაკებისათვის – CN ჯგუფის Ceresit-ის მასალების. უსწორმასწორო ზედაპირები 5 მმ-მდე შეიძლება მოსწორდეს წებოთი CM 11 ფილის დამაგრებამდე არაუადრეს 1 დღე-ღამისა. ტიპიური საფუძვლები (CM 11): ცემენტისა და კირ-ცემენტის ბათქაშები, ცემენტის მოჭიმვები „(ასაკი“ არანაკლებ 28 დღისა, ტენიანობა არა უმეტეს 4%-ისა), ბეტონი („ასაკი“ არანაკლებ 3 თვისა, ტენიანობა არა უმეტეს 4%-ისა) რეკომენდებულია გრუნტით Ceresit CT 17-ით დამუშავება და გამოშრობა 4-5 საათის განმავლობაში. საკმაოდ მკვრივი, სუფთა და მტკიცე საფუძვლები შეიძლება არ დაიგრუნტოს. არატიპიური საფუძვლები (CM 11 + CC 83): თაბაშირის ბათქაშები (ტენიანობა არა უმეტეს 1%-ისა), ანჰიდრიტული მოჭიმვები (ტენიანობა არა უმეტეს 0,5%-ისა, დსპ და გიპსოკარდონი (სისქით არანაკლებ 22 მმ) მსუბუქი ფიჭური და „ახალგაზრდა“ ბეტონი („ასაკი“ არანაკლებ 1 თვე, ტენიანობა არაუმეტეს 4%), გამათბობლიანი მოჭიმვები – დამუშავდეს გრუნტით Ceresit CT 17 ან Ceresit CN 94 და გამოშრეს. ქვისა და კერამიკული მოპირკეთებები OSB, მტკიცე წყალ-დისპერსიული შეღებილი საფარველები (შენონებს შიგნით) – დამუშავდეს გრუნტით Ceresit CN 94 და უნდა გამოშრეს 2-4 საათის განმავლობაში.



სამუშაოთა შესრულება

ნარევის მოსამზადებლად იღებენ სუფთა წილის ზუსტად მოზომილ რაოდენობას (+10-დან +25°C-მდე) ან ელასტიფიკატორს Ceresit CC 83, რომელიც განზავებულია წყლით შეფარდებით 1:2. მშრალ ნარევს თანდათანობით უმატებენ სითხეში თანადროული მორევით, ერთგვაროვანი ბუშტუკების მასის მისაღებად. მორევას აწარმოებენ მიქსერით ან დრელით ბრუნვის სიჩქარით 400-600 ბრ/წთ. შემდეგ იცავენ ტექნოლოგიურ დაყოვნებას 5 წუთიან პაუზას ნარევის მოსამწიფებლად და ურევენ კიდევ ერთხელ. მოხმარებისათვის გამზადებული ნარევი დახარჯულ უნდა იქნას 2 საათის განმავლობაში (ელასტიფიკატორით – 1,5 საათი) მომზადების მომენტიდან. წებოს აფენენ საფუძველზე გლუვი შპატელით. შემდეგ კბილებიანი შპატელით წებოს თანაბრად ანაწილებენ ზედაპირზე. კბილებს უნდა ჰქონდეს კვადრატული ფორმა, ხოლო მათ ზომას ირჩევენ ფილის ფორმატის მიხედვით (იხ. ცხრილი).

ყურადღება! გასახსნელი ნარევის მაქსიმალური სისქე ფილის ქვეშ არ უნა აღემატებოდეს 10 მმ-ს. ***ფილები წინასწარ არ დაასველოთ!*** ფილის დამაგრება შეიძლება 20 წუთის განმავლობაში წებოს დაფენის შემდეგ. გარე სამუშაოებისა და მოპირკეთების მოწყობის დროს ქვის ან დიდი ფორმატის ფილებით დამაგრების საიმედოობის ამაღლებისათვის რეკომენდებულია წყობის კომბინირებული მეთოდი: წებოს დამაფიქსირებელი უნარი იძლევა ფილებს შორის საფენების გარეშე წყობის შესაძლებლობას ნაკერის ერთნაირი სიგანის უზრუნველსაყოფად, დაახლოებით 1მმ.

ამასთან წებოს ხარჯი ამ დროს მატულობს. ყურადღება! არ შეიძლება ფილების პირაპირებით დაწყობა! მოპირკეთების ნაკერები რეკომენდებულია შეივსოს შემავსებლით Ceresit CE 33 ან Ceresit CE 40 არა უადრეს 24 საათის შემდეგ (ელასტიფიკატორის გამოყენებისას – 48 საათი) ფილების დამაგრების შემდეგ.

წებოს ახალი ნარჩენების მოშორება შესაძლებელია წყლის საშუალებით, ხოლო გამხმარის მხოლოდ მექანიკურად.

CERESIT_CM 11_01.2020

რეკომენდაციები

სამუშაოები უნდა შესრულდეს მშრალ პირობებში ჰაერისა და. საფუძვლის ტემპერატურის პირობებში +5-დან +30°C-მდე. შეფუთვებზე მითითებული ხარისხის ყველა მაჩვენებელი და რეკომენდაცია სწორია გარემოს ტემპერატურისათვის +20°C (± 2°C) და ჰაერის ფარდობითი ტენიანობისას 55% (±5%). სხვა პირობებში შესაძლებელია წებოს მოხმარების დროის კორექტირებისა და ღია დროის ცვლილება, და ასევე მოპირკეთების უფრო ადრე მზაობა ნაკერების შესავსებად.

შენახვისვადა

შენახვის ვადა მშრალ პირობებში ორიგინალურ დაუზიანებელ შეფუთვაში – არა უმეტეს 12 თვისა დამზადების დღიდან.

შეფუთვა

მშრალი ნარევი CM 11 - მიეწოდება მრავალშრიან 25 კგ_იან ტომრებში

ტექნიკური მახასიათებლები

შემადგენლობა Ceresit CM 11:	ცემენტის ნარევი მინერალური შემავსებლებით და პოლიმერული მოდიფიკატორებით
წყლის რაოდენობა გამაგრებისათვის:	6,0 ლ 25 კგ მშრალ ნარევზე
შერევით რაციონი ერთად მოდიფიკატორები Ceresit CC 83	2,0 ლ CC 83 + 4,0 ლ წყალი 25 კგ მშრალ ნარევზე
მოხმარების დრო:	არანაკლებ 2 საათი (CC 83-ით 1,5 საათამდე)
გამოყენების ტემპერატურა:	+ 5-დან + 30°C
ღია დრო:	დაახლოებით 20 წუთი
კორექტირების დრო:	დაახლოებით 20 წუთი
ფილის დაცურება:	არა უმეტეს 0,5 მმ
ნაკერების ამოვსება:	24 საათის შემდეგ CC 83-ით 48 საათის შემდეგ
ადგეზია 28 დღის ასაკის ბეტონის მიმართ:	არანაკლებ 0,8 მპა (CC 83-ით არანაკლებ 1,1 მპა)
საკონტაქტო ზონის ყინვაგამძლეობა:	არანაკლებ 50 ციკლი (F50)
ექსპლუატაციის ტემპერატურა:	- 50-დან + 70 -მდე
აალებადობის ჯგუფი:	არა აალებადი

საშუალო ლაბორატორიული შედეგები

ადგეზია 24 საათის ასაკის ბეტონის მიმართ:	0,6 მპა
ადგეზია 28 დღის ასაკის ბეტონის მიმართ:	1,1 მპა
ადგჰზია წყალში გაჩერების შემდეგ:	1,2 მპა
ადჰეზია გაყინვა-გალხობის ციკლების შემდეგ:	1,0 მპა

მშრალი ფხვნილი CM 11 PLUS და ელასტიფიკატორის CC 83 (საჭიროების შემთხვევაში) საორიენტაციო ხარჯი ფილის ზომის მიხედვით

ფილის მხრის სიგრძე, სმ	შპატელის კბილის ზომა, მმ	ხარჯი, კგ/მ²	
CM 11	CC 83		
5 - მდე	3	დაახლოებით 1,7	დაახლოებით 0,14
10 - მდე	4	დაახლოებით 2,5	დაახლოებით 0,16
15 - მდე	6	დაახლოებით 2,7	დაახლოებით 0,22
25 - მდე	8	დაახლოებით 3,2	დაახლოებით 0,29
30 - მდე	10	დაახლოებით 4,2	დაახლოებით 0,34
45 - მდე	12	დაახლოებით 5,2	დაახლოებით 0,42

შენიშვნა: მასალის ხარჯი დამოკიდებულია საფუძვლის მოხმარების ხარისხზე და სამუშაოების მწარმოებლების კვალიფიკაციაზე და შეიძლება იყოს ზემოთ აღნიშნულ მონაცემებზე მეტი.

პროდუქტი შეიცავს ცემენტს და, წყალთან ურთიერთობისას, იძლევა ტუტე რეაქციას, ამიტომ, მასთან მუშაობის დროს, აუცილებელია თვალებისა და კანის დაცვა. თუ ნარევი თქვენს თვალში მოხვდება, ჩამოიბანეთ ისინი წყლით და მიმართეთ სამედიცინო დახმარებას. ყველა მითითებული ხარისხის ინდიკატორი და რეკომენდაცია მოქმედებს + 20 ° C– ს ტემპერატურაზე და 60% –ზე შედარებით ტენიანობაზე სხვა პირობებში, მასალის ტექნიკური მახასიათებლები შეიძლება განსხვავდებოდეს მითითებულიდან.
ტექნიკური აღწერილობის გარდა, მასალასთან მუშაობისას, თქვენ უნდა იხელმძღვანელოთ შესაბამისი სამშენებლო კოდებითა და დებულებით. მწარმოებელი არ არის პასუხისმგებელი ტექნოლოგიასთან შეუსრულებლობა მასალასთან მუშაობის დროს, აგრეთვე ამ ტექნიკური აღწერილობით გათვალისწინებული მიზნებისათვის და პირობებში. თუ ეჭვი გეპარებათ მასალის კონკრეტული გამოყენების შესაძლებლობის შესახებ, თქვენ უნდა შეამოწმოთ იგი საკუთარ თავს, ან გაიარეთ კონსულტაცია მწარმოებელთან. ტექნიკური აღწერილობა, ისევე როგორც წერილობით დაუდასტურებელი რეკომენდაციები, არ შეიძლება გახდეს მწარმოებლის უპირობო პასუხისმგებლობის საფუძველი. ამ ტექნიკური აღწერილობის გარეგნობით, ყველა წინა მათგანი ძალადაკარგულად იქცევა.

Henkel Building Chemicals Georgia LLC. საქართველო, 1320, გარდაბანი, სოფელი მარტყოფი.

This document was created and digitally signed by tdx.henkel.com at 2025-11-27T15:44:05.737Z